



ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზისთვის შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფი

1. გიორგი ჩხეიძე, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. ნინო დანელია, ლექტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
3. ხათუნა გოგორიშვილი, პარლამენტის წევრი, გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა
4. ხათუნა ხვიჩია, პროექტის მენეჯმენტის სპეციალისტი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
5. ვახტანგ ლეჟავა, პრემიერ მინისტრის უფროსი მრჩეველი
6. ოლივერ რეისნერი, ისტორიკოსი
7. ლევან რამიშვილი, დირექტორი, თავისუფლების ინსტიტუტი და "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" გამგეობის წევრი
8. დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის თავჯდომარე
9. შოთა უტიაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის თავჯდომარე
10. ბორის ვოდზი, ევროსაბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი

სამუშაოს ფარგლები:

მიზნები:

1. აამაღლოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის პროცესის ლეგიტიმურობა და ხელი შეუწყოს ანტიკორუფციული საქმიანობით დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობას საბოლოო ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადებაში.
2. ხელი შეუწყოს, რომ მიღწევადი იყოს ფართო კონსულტაციები და დებატები ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით
3. კონსულტაცია გაუწიოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროექტის იმპლემენტაციის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით.

საკონსულტაციო ჯგუფის მოვალეობა:

- გადასინჯოს და დაადასტუროს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის ანგარიშის მაჩვენებლები თითოეული განზომილებისათვის და მიაწოდოს ექსპერტების შენიშვნები ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის მონახაზ ანგარიშთან დაკავშირებით („საერთაშორისო



გამჭირვალობა-საქართველო“ და საერთაშორისო გამჭირვალობის სამდივნო ბერლინში გადახედავს საბოლოო ანგარიშს, საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით)

- კონსულტაცია გაუწიოს გამოკვლევებთან დაკავშირებით (მაგ. გამოკითხულთა იდენტიფიკაცია)
- კონსულტაცია გაუწიოს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით (მაგ. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზთან დაკავშირებული შეხვედრების მონაწილეების იდენტიფიკაცია)
- დაესწროს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის შემაჯამებელ სემინარს და შესაძლებლობის მიხედვით ხელი შეუწყოს კონკრეტული საკითხების განხილვის ორგანიზებას.
- ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზთან დაკავშირებული შეხვედრების დასრულების შემდეგ, გადახედოს საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციების ნაწილს რათა უზრუნველყოს შესაბამისობა ამ რეკომენდაციებსა და მონაწილეთა დისკუსიებს, დასკვნებს შორის, და ასევე აქცენტი გააკეთოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე.
- ხელი შეუწყოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის მიხედვით გამოკვეთილი აღმოჩენებისა და რეკომენდაციების გავრცელებას მათი გამოქვეყნების შემდგომ.

სარატიფიკაციო ქულები: სარატიფიკაციო შეხვედრა საკონსულტაციო ჯგუფს, მკვლევარსა და ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის კოორდინატორს შორის ჩატარდება მას შემდეგ, რაც მოხდება რაოდენობრივი მაჩვენებლის მინიჭება კვლევაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ამ შეხვედრის მიზანია რომ მონაწილეებმა გადახედონ და კომენტარი გაუკეთონ თავდაპირველ მაჩვენებლებს, სანამ მოხდება მათი ეროვნულ სემინარზე პრეზენტაცია. თუ ანტიკორუფციული საბჭო არ ეთანხმება განსაზღვრულ მაჩვენებელს, მას შეუძლია მოითხოვოს ა) დადასტურება, დამტკიცება (ეს არის მოთხოვნა მკვლევარის მიმართ რომ წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები ქვეყნის მდგომარეობის შესახებ თავის ანგარიშში, ისე რომ ინფორმაცია შეესაბამებოდეს რაოდენობრივ მაჩვენებელს), ან ბ) რაოდენობრივი მაჩვენებლის შესწორება. ამ მოთხოვნათაგან თუ რომელი განხორციელდეს თუ საჭირო გახდა გადაწყდება საბჭოს ხმათა უმრავლესობით. შეხვედრის შედეგები უნდა აისახოს დამატებით დოკუმენტში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ შემდეგ გადაამუშავებს ანგარიშს და რაოდენობრივ მაჩვენებლებს და გააგზავნის სამდივნოში რათა მოხდეს სხვა თვალთვალთ გადახედვა და შემოწმება შეესაბამება თუ არა რაოდენობრივი მაჩვენებელი მოცემულ მონაცემებს. უთანხმოების შემთხვევაში გადაწყვეტი სიტყვა მაინც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“-ს ენიჭება.



ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის შემაჯამებელი სემინარი ჩატარდება ოქტომბერში. სემინარი ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზის პროცესის განუყოფელი ნაწილია და პროექტით გათვალისწინებული კვლევისა და ადვოკატირების კომპონენტების ერთმანეთთან დაკავშირებას შეუწყობს ხელს. საკონსულტაციო ჯგუფის წევრები ამ სემინარს უნდა დაესწრონ და ხელი შეუწყონ დასმული საკითხების განხილვას ან შეასრულონ რაიმე სხვა კონკრეტული როლი, რაც ჯგუფის წევრებთან შემდგომი კონსულტაციის გზით გადაწყდება.